საქ. ქეთარცხენე სოც.-ფედ. სარეგ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,250,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 75,000 მან.
redakcia და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 250,000 მან. ნონპარელი
4 „ 200,000 „
სამგლოვიარო განცხადების
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 523 სამშაბათი, ივლისის 17 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 75,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

1655

გაზეთ „ტრიბუნის“ კანტორისაგან

ივლისის 15-დან „ტრიბუნა“ ეღირება:

ცალკე ნომერი . . 75,000 მ.

პოლიტიკის რევიზია.

მემარჯვენე პარტიების კოალიციის მეთაურ პარტიაში, მენშევიკებში, რკვე ფართო მაშტაბით სწარმოებს პოლიტიკის რევიზია. ამ პარტიის პოლიტიკური კურსის შეცვლა, არსებითად უდრის მთელი კოალიციის პოლიტიკის დამარცხებას. მენშევიზმი გაცილებით ძლიერი ძალა იყო, როგორც საქართველოში, ისე მის გარეთაც, ვიდრე ის პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები, რომელნიც მასთან მუშაობდენ და მუშაობენ კონტაქტში.

ამდენათვე დაშლა მენშევიკური პარტიის, არსებით არის დანგრევა მთელი კოალიციის, რომელიც ამხედრებული იყო საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

როგორც ამას წინეთ გვქონდა აღნიშნული, მენშევიკური პარტიის რღვევა შედეგია არა იძულების და ძალდატანების, არამედ საქართველოს სოციალ-ეკონომიური პირობების და მისი გაგების მენშევიზმისა და ბოლშევიზმის მიერ.

ჩვენ ამ ერთი წლის წინეთ სისტემატიურად ვწერდით პოლიტიკის რევიზიის შესახებ. ვითვალისწინებდით საქართველოს სოციალ-ეკონომიურ პირობებს და იმ ფაქტს, რომ კაპიტალიზმის განვითარების პრიმიტივობა და ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაცია ქმნის პირობებს საბჭოთა ხელისუფლებასთან ფართო მასების აქტიურ თანამშრომლობისას, რადგან საქართველოს არ ახასიათებს კლასთა ანტამონიზმი ევროპიული გაგებით. ჩვენ მაშინ აღვნიშნავდით, რომ პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელნი ვერ შესძლებენ პოლიტიკის რევიზიის მოხდენას, რომ საჭიროა თვით მემაჯვენე პარტიების მიმდევარმა მასამ, მშრომელმა ელემენტებმა გადასინჯონ მათი პარტიების პოლიტიკა და დაადგენ საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ნიადაგზე.

ჩვენ, საქართველოს სოციალ-ეკონომიური ცხოვრების ობიექტიური ანალიზი გვაძლევდა იმ უტყუარ და სწორ დასკვნას, რომ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა, რომელიც მშრომელ ელემენტს წარმოადგენს, უეჭველად უნდა ყოფილიყო საბჭოთა წყობილების დამცველთა რიგებში. ამ გამორკვევას ხელს შეუწყობდა ნაციონალური პოლიტიკის შეცდომების გამოსწორება. ამიტომ ჩვენ იმ თავითვე მიუთითებდით ხელისუფლებას ამ გარემოებაზედ.

დღეს უკვე ფაქტის საკითხია პოლიტიკის რევიზია, როგორც აღვნიშნეთ მენშევიკურ პარტიაში ეს პროცესი ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც.

დემოკრატიულ საქართველოში მეორე პარტიის ადგილი ეჭირა საქ. სოც.-ფედ. პარტიას თავისი რიცხვის მიხედვით. შემადგენლობით ეს პარტია იტევდა ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობას. იმ თავითვე სოც.-ფედ. პარტია საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზედ გამოვიდა, როგორც რევოლიუციონური პარტია, რომელიც ებრძოდა მენშევიკურ დემოკრატიზმის პრინციპს. იდეოლოგიურად ხსენებული პარტია არ შეიძლება არ ჰდგარიყო ოქტომბრის რევოლიუციის ნიადაგზე. მენშევიზმის თეორიას კაპიტალიზმის განვითარების მიღებისას, სოციალიზმში გადასასვლელად არასოდეს არ იცავდა და ვერც დაიცავდა სოც.-ფედ. პარტია, რომელიც თეორეტიულ დებულებეს რევოლიუციონური სოციალიზმის პრინციპებს ამყარებდა.

ოქტომბრის რევოლიუციის დასაწყისს, სოც.-ფედ. პარტია აღტაცებით შეხვდა და უწოდა მას მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის შესავალი.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, ს.-ფედ. პარტიის მთავარმა კომიტეტმა მოიწონა დროებითი მთავარი კომიტეტის პოლიტიკა, რომელიც იდგა საბჭოთა წყობილების ნიადაგზედ და მუშაობდა კონტაქტში კომუნისტურ პარტიასთან.

ერთი სიტყვით, დღევანდელი ჩვენი პოლიტიკა, რომლის ძირითადი პოლიტიკური პლატფორმა საფუძვლად ედო დროებითი მთავარი კომიტეტის მოქმედებას, მოწონებული იქნა მთელი პარტიის უმაღლესი ორგანოს, მთავარი კომიტეტის მიერ.

შემდეგი პოლიტიკური ნაბიჯი დღევანდელი მემარჯვენე ფედერალისტების, ცხადია შედეგი იყო პოლიტიკურ ძალთა შემცდარი შეფასების. გზა მათ მიერ აღებული, ორიენტაცია ევროპის არ გამართლდა.

მენშევიკურ პარტიაში ამან უკვე გამოიწვია რღვევა.

ჩვენ ამას წინეთ ავღნიშნავდით, რომ მემარჯვენე ფედერალისტებში ასეთივე პროცესი არ შეიძლება მოხდეს. მენშევიკურ პარტიაში მტკიცე ორგანიზაცია იყო და პოლიტიკის რევიზიაც ორგანიზაციულ სახეს მიიღებდა.

ეს ასედაც მოხდა, მემარჯვენე ფედერალისტები ორგანიზაციულად არ იყვნენ ასეთივე სიმტკიცის მატარებელი და იქ რევიზიის პროცესი მიიღებდა პერსონალურ ხასიათს. დღეს ასეთი მომენტის წინაშე ვდგევართ. პერსონალურად ხდება ჩვენს რიგებში შემოსვლა მშრომელი ინტელიგენციის იმ კონტიგენტის, რომელიც საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მემარჯვენეთა გავლენის ქვეშ მოექცა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პერსონალურად პოლიტიკის რევიზიის ჩატარება მეტად ხანგრძლივი და ძნელი საქმეა. ამავე დროს შეუძლებელია მშრომელი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი კონტიგენტი დიდხნობით დარჩეს მემარჯ. ფედერალ. გავლენის ქვეშ. ეს დღესაც არ არის. ჩვენ, გარეშე ყოველგვარი პოლიტიკური სპეკულიაციისა შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში იშვიათად თუ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც ესმოდეს მემარჯვენე ფედერალისტების პოლიტიკა და თუ ესმის (რაც საკვირველია) იზიარებდეს მას.

ამიტომ საჭიროა ორგანიზაციული გამოსვლა იმ ძალების, რომელნიც მემარჯვენეთა გავლენის ქვეშ იყვენ და რომელთაც დღეს გულწრფელად სურთ საბჭოთა წყობილების დამცველთა რიგში დგომა.

ჯანსაღი ელემენტი ეროვნული და სოციალისტური ბრძოლისათვის, რომელიც პარტიას დღეს უბრუნდება პერსონალურად, უნდა დაუბრუნდეს ორგანიზაციულად, მასიურად, რომ საქართველოში ს.-ფედერალისტურმა მიმართულებამ ღირსეულად ატაროს სოციალისტურ-ეროვნული დროშა.

ვრცელა

„კომუნისტის“ № 161 ეხება „სასოფლო სამეურნეო კომუნების საკითხს და სწერს:

„ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ რუსეთში ფართედ გავრცელდა იდეა სას.-სამეურნეო კომუნების. ასეთი კომუნები დაარსდა ბევრ ადგილას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან ჩვენშიც, თუმცა არა ისეთი ფართე მასშტაბით, რთგორც რუსეთში, მაგრამ აქაც მაინც იყო ცდა სამეურნეო კომუნების მოწყობისა სოფლად.

კომუნისტურმა რევოლიუციამ თავისი გავლენა მოახდინა მიწის მუშაზედაც; შეარყია მისი ვიწრო ინდივიდუალისტური პსიქოლოგია, დაიბადა მასში ერთგვარი ლტოლვა თავის განცალკევებული ცხოვრების, თავის კარჩაკეტილი სამეურნეო საქმიანობის გადალახვის.

პრაქტიკულად ეს, სხვათა შორის, გამოიხატა კოლექტიურად მიწის დამუშავების, ნამუშევრის ასეთივე განაწილების და საერთო ძალღონით მისი გასაღების ცდაში.

მაგრამ იყო სხვა ჯგუფის ხალხიც, რომელიც „კომუნებს“ აარსებდა მხოლოდ იმისთვის, რომ თავი დაეღწია აგრარული რევოლიუციის შედეგებისათვის, რომ კომუნის, კოლექტიურ მეურნეობის სახით შეენარჩუნებია ნორმაზე მეტი მიწა.

ასეთ მოვლენებს ხშირად ჰქონდა ადგილი როგორც რუსეთის, ისე ჩვენს სინამდვილეში.

„კომუნის“ იდეის ასეთ დამახინჯებასთან საბჭოთა ხელისუფლებას მოუხდა საკმაოდ დიდი ბრძოლის წარმოება. მან გააუქმა საეჭვო ხასიათის კომუნები, ის უფრო ფრთხილად მოეკიდება სასოფლო-სამეურნეო კომუნების წესდების დამტკიცებას და მათი მონაწილეთა ვინაობას; სასტიკი კონტროლი იქნა დაწესებული „კომუნების“ მუშაობაზე ტ. სხვ.

ამ გარემოებამ ყოველგვარი საშუალება წაართვა სოფლის მემამულეთ და კომბინატორებს „კომუნის“ შინაარსის დამახინჯების და მისი საშუალებით თავიანთი ძველი მდგომარეობის შენარჩუნების.

ამ გარემოებამ მოსპო მოჩვენებითი, quasi—კომუნების არსებობის და გამრავლების შესაძლებლობა.

მაგრამ ამავე დროს შენელდა იდეური მოტივებით გამოწვეულ „კომუნების“ ზრდაც. აქ უეჭველად დიდი როლი ითამაშა ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ, რომელმაც კვლავ გაალვივა წვრილ-ბურჟუაზიული და მესაკუთრეობის მისწრაფებანი.

ნამდვილი სასოფლო-სამეურნეო კომუნების იდეის პოპულიარიზაციის, მათი მოწყობის საქმეს ჩვენ კვლავ უნდა მივაქციოთ სერიოზული ყურადღება.

დღეს ჩვენში წამოყენებულია ლოზუნგი მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირების. მშრომელი მასის თავმოყრა სამეურნეო კომუნებში ერთ-ერთი ფორმაა ასეთი შეკავშირების.

წვრილ ბურჟუაზიული სტიქიის მოზღვავების პირობებში განსაკუთრებით საჭიროა მშრომელ მასსების ამხანაგური თანამშრომლობის პრაქტიკულად განხორციელება, სოციალური გრძნობების პრაქტიკულად განვითარება და განმტკიცება. სასოფ.-სამეურნეო კომუნები ამისათვის საუკეთესო სკოლა იქნება“.

გაზეთი აღნიშნავს ერთ ერთი სოფლის გლეხობის დადგენილების. კოლექტიური მეურნეობის გაჩაღების შესახებ და განაგძობს:

„ასეთი გზით ხალხი ეჩვევა საერთო შრომას, ითვისებს კოლექტივისტურ პსიქოლოგიას.

მაგრამ „კომუნის“ ღირებულება ხალხის არა მარტო ასეთ პსიქოლოგიურ გარდაქმნაში მდგომარეობს. მას აქვს უდიდესი მატერიალური მნიშვნელობაც.

„კომუნაში“ დარაზმულ მასსებს საერთო ძალ ღონით უკეთ და უფრო ადვილად შეუძლია მიწის დამუშავება, ამისათვის საჭირო იარაღების და მასალების შეძენა, სასოფლო მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა და სხვა.

აქ თვალსაჩინოდ აშკარავდება უპირატესობა კოლექტიურ მეურნეობისა კერძო მეურნეობაზე.

საჭიროა მთავრობამ ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ასეთ ამხანაგობებს და ის კიდეც ასე იქცევა.

საჭიროა პარტორგანიზაციებმა, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებმა ფართე პროპაგანდა გასწიონ სასოფლო-სამეურნეო კომუნების სასარგებლოდ და ხელი შეუწყონ მათ გავრცელებას.

ასეთ კომუნებს აქვთ უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ისინი აგრეთვე საგრძნობ სამსახურს გაუწევენ მშრომელ მასსებს მათი ნივთიერი კეთილდღეობის აწევის საქმეში.

ამიტომ, ვიმეორებთ, სასოფლო-სამეურნეო კომუნების მოწყობის და მათში ხალხის ჩაბმის საკითხს უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება“.

გაზეთი სამართლიანად აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო კომუნების დიდ მნიშვნელობას. კოოპერატიზაცია და კომუნალიზაცია, ეკონომიური ორგანიზაციების შექმნა ჩამოყალიბება თვით მშრომელთა მიერ, არის ერთ ერთი საშუალება სოციალური გარდაქმნის. ჩვენ ყოველთვის ანბანურ ჭეშმარიტებად მიგვაჩნდა, რომ პოლიტიკური ძალაუფლების აღება მუშათა კლასის მიერ, კიდევ არ ნიშნავს სოციალური რევოლიუციის გამარჯვების უზრუნველყოფას. საჭიროა ეკონომიური ორგანიზაციების შექმნა, სოციალისტური მეურნეობის ჩანასახების განვითარება და გამრავლება. ამ მხრივ ჩვენი სოფელი დიდ სარბიელს წარმოადგენს. გლეხი დაინახავს კოლექტიური მეურნეობის უპირატესობას და იგი სამუდამოთ განთავისუფლდება.

ახალი ამბები

— **ტყის სიმდიდრეთა ექსპლოატაცია.** საქ. უმაღ. ეკ. საბჭომ წინადადება მისცა ამხ. ამხ. კანდელაკს და ავაქოვს ახლო მომავლისათვის წარმოადგინონ პროექტი საქართველოს ტყეების სიმდიდრეთა ექსპლოატაციის შესახებ.

— **მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.** ამავე საბჭომ დაადგინა მიწად-მოქმედების კომისარიატს, ცეკავშირს და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს საბჭოს გაუხსნას სესხი სახ. ბანკიდან მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

— **ჩოხატაური-თომახას გზის გაყვანა.** აღნიშნულმა საბჭომ აუცილებლად სცნო გაიყვანოს მოკენჭილი გზა ჩოხატაურ-თომახას ხაზით და ამის საჭიროებისათვის გაღებული იქნეს კომისართა საბჭოს თანხიდან 500 მილიონი მან.

— **გაზეთების ფას-დაკლებით გადაგზავნა.** ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა დაბა-სოფლებში გაზეთების გავრცელების მიზნით, დაადგინა ყოველდღიური გაზეთების გადასაგზავნათ საფოსტო გადასახადი დაარსდეს ნაკლები, ვიდრე არსებობდა ომამდე.

— **პროგრამების გამომუშავება.** სასკოლო რეფორმასთან დაკავშირებით შექმნილმა საპროგრამო კომისიამ უკვე შეიმუშავა 1-ლი საფეხ. საყოველთაო სავალდებულო სკოლის პროგრამები, რომელიც იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ქართულ და რუსულ ენებზე.

— **შეფობის მიღება სოფლებზე.** 10 ივლისს ა. | კ. განსაკუთრებული წითელ არმიის მე-10 საინჟინერო ბათალიონმა მიიღო შეფობა ცემის და ტბის სოფლის გლეხებზე.

— **სამხედრო რევტრიბუნალში.** 13 ივლისს სამ. რევტრიბუნალმა გაარჩია საქმე ძირითადი სამოსწავლო ათასეულის წ.-არმიელის კაციტაძის, რომელსაც ბრალდებოდა დინამიტების ცომის მოპარვა. სასამართლომ კაციტაძეს მიუსაჯა 1 წლით გამასწორებელ სახლში დაპატიმრება.

— **შრომის რწმუნებულების ინსტიტუტი.** შრომის კომისარიატის რწმუნებულის კოლეგიამ დაადგინა აღადგინოს ავტონომიურ რესპუბლიკებში შრომის რწმუნებულების ინსტიტუტი.

— **სასოფლო სამეურნეო აღწერა.** ტფილისის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო აღწერის ხელმძღვანელების მიერ 16 ივლისს, დღის 12 საათზე აღმასკომის სტატისტ. განყოფილების ბინაზე დანიშნულია აღნიშნულ აღწერის თანამშრომელთა კრება.

— **ქუჩების შეკეთება.** გადაწყვეტილია შეკეთებული იქნეს ტფილისის ყველა ქუჩები. ამ ჟამად მუშაობა სწარმოებს 2 რაიონში.

— **ბოროტ-მოქმედებათა და უბედურ შემთხვევათა რაოდენობა ივნისის განმავლობაში** ცენტრალურ სისხლის სამართლის მილიციის ცნობით, ივნისის თვის განმავლობაში ტფილისში შემდეგ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებებს ქონდა ადგილი: მკვლელობა—6, შეიარაღებული თავდასხმა—1, ქურდობა—8, გამოტყუება—3, მითვისება—8, თვითმკვლელობა—3, ყალბი ფულის დამზადება—1, გაუპატიურება - 2, ტუსაღების გაქცევა—1, ქუჩაში ძარცვა—1, კარტის თამაშობა—1, დამნაშავეთა მოძებნა—56, დაჭრა—9, შეურაცყოფის მიყენება—1, აფიორა—10, ქრთამის აღება—1, სამსახურში ბოროტმოქმედება—5, სიმულიაცია—1, შანტაჟი—3, ბავშვის დაკარგვა—3, გაძარცვა—6, ჩხუბი—1, ბანდიტიზმი—2, დახრჩობა—2, თავის მოწამვლა—1 და ტრამვაისაგან კაცის გაჭყლეტა—1.

— **ტფილისის საერთო განათლების კურსებზე** სიმწიფის მოწმობის მისაღებად, სადეპუტატო გამოცდები დამთავრდა. გამოცდებზე გამოცხადდა 113 მსმენელი, ამათში 12 კაცი გამოცდებს ექსტრენათ აბარებდა. აღნიშნული რიცხვიდან სიმწიფის მოწმობაზე ჩაბარეს გამოცდები შემდეგმა პირებმა: 1. ანდღულაძე ვასილი, 2. ბოკერია კონსტანტინე, 3. ბოკერია ნიკოლოზი, 4. ბურძგლა პროკოფი, 5. გვენცაძე თეოდორა, 6. გელიაშვილი პეტრე, 7. გელოვანი შალვა, 8. გოგოლაშვილი ვასილი, 9. დოლმაზაშვილი ნინო, 10. ვეშაპიძე ისაკი, 11. თევზაძე ნოე, 12. თაბუკაშვილი ვარდენი, 13. კიკვაძე ილარიონი, 14. კობახიძე სოფიო, 15. კვანტალიანი თამარი, 16. კვაჭაძე გრიგოლი, 17. კალანდაძე გრიგოლი, 18. კუცია ერმილე, 19. მგელაძე ირაკლი, 20. მეავანაძე თამარი, 21. მაჩაბელი ვახტანგი, 22. მამუკაშვილი ზაქარია, 23. მაჭავარიანი ვლადიმერი, 24. მაღრაძე გაბრიელი, 25. რობაქიძე ვიქ-

ტორი, 26. სიმონ-გულიანი იაკობი, 27. სოზაშვილი იოსები, 28. სარჯველაძე მარიამი, 29. სვანიძე რაჟდენი, 30 სვანიძე ნესტორი, 31. სარჩიმელია ლევანი, 32. ხავთასი ვასილი, 23. ხუციშვილი ქეთევანი, 34. ფირალიშვილი ილია, 35. ცინცაბაძე ვალერიანი, 36. ცომაია აკაკი, 37. შანიძე ნოე, 38. ქურდიანი ელიზბარი, 39. ჭუმბურიძე ალექსანდრე, 40. ჩხენკელი მარიამი.

მეორე რაიონის ყოფილ მენშევიკების კრება.

13 ივლისს გაიმართა მეორე რაიონის ყოფილ მენშევიკების კრება, რომელსაც დაესწრო 60-ზე მეტი წარმომადგენელი.

პირველი მოხსენება წაიკითხა ამხ. ლუკაშევიჩმა მენშევიკების ცენტრალურ კომიტეტის დადგენილების შესახებ.

მოხსენება საბჭოთა რუსეთის შესახებ წაიკითხა ამხ. ჭყონიამ.

ამხ. რუხაძემ გააკეთა მოხსენება: „დემოკრატიის თუ პროლეტარიატის ძალა-უფლება“.

ამხ. შენგელიამ გააცნო კრებას ქუთაისის ყრილობის მუშაობა.

კამათში ბევრმა ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა.

კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება: (თავი შეიკავა ორმა).

„მენშევიკურ პარტიის ქალ. ტფილისის მეორე რაიონის ყოფილი წევრების კრება სავსებით იზიარებს 1-ლ რაიონის რკინიგზელების კრების მიერ მიღებულ ძირითად დებულებებს და ადგენს:

1. ჩვენი მენშევიკურ პარტიიდან გასვლა არის სრულიად შეგნებული გადაწყვეტილება და გამომდინარეობს მენშევიკების მიერ შემცდარ პოლიტიკის წარმოებიდან.

2. რევოლიუციონურ მონაპოვრების შესანარჩუნებლად და პროლეტარიატის კლასიურ თვითშეგნებისა და კლასიურ ბრძოლის საერთაშორისო ფარგლებში განსამტკიცებლად, კრება მოუწოდებს ყველა მუშათა საქმისათვის პატიოსან მებრძოლთ გაერთიანდნენ, დახმარება გაუწიონ საბჭოთა ხელისუფლებას კაპიტალიზმთან და კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში.

3. კრება მენშევიკურ პარტიის პოლიტიკას როგორც საქართველოში ბატონობის დროს, აგრეთვე საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სცნობს მუშათა კლასისათვის შემცდარ პოლიტიკათ კრება უარყოფს მენშევიკურ პარტიაში დამკვიდრებულ დებულებას „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ და მოუწოდებს ყველას გაიზიარონ საბჭოთა ხელისუფლება.

4. მენშევიკურ პარტიის მეორე რაიონის ორგანიზაციას კრება დაშლილათ აცხადებს, და წინადადება შემოაქვს მოწვეულ იქნეს უფრო ფართო ყრილობა ტფილისისა და საქართველოს ფარგლებში მენშევიკურ პარტიის მომავალ არსებობის საკითხის გამოსარკვევათ და ჩვენი შემდეგი მუშაობის გეგმის შემუშავება საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პროლეტარიატის და უღარიბეს გლეხობის ინტერესების ერთათ ერთ ნამდვილად დამცველ ხელისუფლების ცნობის ნიადაგზე.

გაუმარჯოს მუშათა კლასის გაერთიანებას!

ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება და ქართული ოპერის გედი

მკითხველს მოეხსენება, რომ დედაქალაქში არსებობს ახალგაზდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოება, რომელმაც თავისი ორი საჯარო კონცერტით თავი იჩინა, როგორც საქმის უნარისა და ცოდნის მქონემ. მისწრაფებას, რომელიც ასულდგმულებს ხსენებულ მუსიკოსებს, საგნად დაუსახავს ქართული მუსიკის სამსახური ეროვნული მელოდიების შეკრებით და ხელოვნურად შემუშავებით. ამ მხრით ორთავ კონცერტზე საზოგადოებას შემთხვევა ჰქონდა გასაცნობოდა მუსიკოსთა საკუთარ ნაწარმოებსაც, რომელიც დამსწრე საზოგადოებას მოეწონა.

როგორც იტყვიან, გაჭირვებამ გაქცევა ასწავლა ქართული მუსიკის ახალგაზდა მოღვაწეებს. რა კი დედა ქალაქში გაირიყნენ, რათგანაც მეტნი აღმოჩნდნენ ყველგან, სადაც კი მესაკრავეთა გუნდებია, ადგნენ და საკუთარი საზოგადოება დაარსეს. არც შემცდარან. ქართულ მუსიკას სახელმწიფო კონსერვატორიებში, თუ საოპერო სცენაზე ჰირიოსუფალის ხელი აღარ მოეპოება. ქართული მუსიკის გედი დაღუპა თავკერძობამ, ინტრიგამ, უგულობამ და ორ პირობამ იმ სპეციალისტი და არა სპეციალისტი მესვეურებისამ, ვისაც რამ ურთიერთობა ჰქონდა თვით საქმესთან, გარდა, რა საკვირველია, იმ ახალგაზდა მუსიკოსებისა, რომელნიც დღეს ერთ საზოგადოებად შემჭიდროებულან და სულით და გულით მოუწადინებიათ ქართული მუსიკის გედის გაუმჯობესება. თუ ასე არა, მაშ სხვანაირად როგორ უნდა ითქვას, რომ სულთამხუთავი ცარიზმის დროს კერძო თაოსნობით არა ერთი ევროპიული კლასიკური ოპერა დადგმულა, დღეს კი, როცა ქართველი მშრომელი ხალხი სათავეში ჩასდგომია თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, ქართულ საოპერო სპეკტაკლიც კი კანტიკუნტად იმართება, ევროპული ოპერები ხომ აღარავის ახსოვს.

ვინც საერთოდ ქართული მუსიკის, ქართული ოპერის საქმეს სამსახურს გაუწევს, დიდი თანაგრძნობის ღირსია, როგორც კერძო პირთა, ისევე მთავრობის მხრით და უთუოდ ასეთ გრძნობას იხელმძღვანელებდა ხსენებული საზოგადოება, რომ მიჰმართა სახალხო განათლების კომისარიატს შუამდგომლობით დახმარებისათვის. მთავრობა, რომელიც აუარებელ ხარჯს ეწევა მშრომელი ხალხის ესთეტიური განვითარებისთვის, თუნდაც ამ ზაფხულში სიმფონიური კონცერტების გამართვით და ქართული დრამატიული სტუდიისთვის სუბსიდიის მიცემით, უეჭველად დახმარებას აღმოუჩენს იმ დიდ საქმესაც, რომელიც თავს უდვია ქართველ მუსიკოსთა საზოგადოებას. თუ აქნობამდე საქმე ვერ მიდიოდა კარგად, თითქმის არც იყო, მისი ბრალი იყო ის. რომ ქართული ოპერა სხვის ნების ყოფაზე იყო მიგდებული ის კი გვავიწყდებოდა, რომ სხვა იგი იქცეოდა ისე, როგორც ქართველ ხალხს უთქვამს, ჯერ თაო და თაო მერმე ცოლო და შვილო. ჩავაყენოთ ქართული ოპერის საქმე ისეთ გარემოებაში, რომ თავისი ბედის მზრუნველი თვითვე იყვეს და არა ვიგინდარა. პირველი ქართული ოპერა, რომელიც უნდა დასდგას საზოგადოებამ ქართული იქნება არა მარტო შინაარსით, არამედ დამკვრელ—ხორისტ—სოლისტების პერსონალის შედგენილობითაც. ურწმუნო ფონეტიკ და ორკესტრ-ინტრიგანები იხილავენ, რამდენად ცხოველია ქართული ოპერის საქმე, რომელიც ბევრ ადგილას დაღუპულა. ახალგაზდა მუსიკოსებს კი გული შესტკივათ და მოქმედების გეზი, რომელიც აუღიათ, საგრძნობლად ხელს შეუწყობს მშრომელი ხალხის ესთეტიურ განვითარებას.

პეტრე მირიანიშვილი.

ეპრიზიავი

დღეს, ივლისის 17, საღამოს 7 საათზე ცენტრალურ ბიუროში დანიშნულია **მეოთხე რაიკომის** მორიგი სხდომა.

რაიკომის მდივანი **აკ. სირაძე.**

ხუთშაბათს 19 ივლისს საღამოს 6 საათზედ ა/კ. ფინსახკომის შენობაში შესდგება გაფართოებული სხდომა ამავე კომისარიატის მემარ. სოციალ.-ფედერალ. ფრაქციისა. მოხსენებას გააკეთებს ამხ. **გ. ხოფერია** „რუსეთის კომუნისტურ პარტ. მე-12 ყრილობის დადგენილება ეროვნულ საკითხის შესახებ“.

დასწრება შეუძლია ყველას.

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

ფრაქციის ბიურო.

ბიბლიოგრაფია

ალ წერეთელი. „ევროპის პირველი ცივილიზაცია“.

ყოველი ახალი გამოცემა განსაკუთრებული ყურადღების ღირსად ხდება. ქართული ბეჭდვითი სიტყვის თანამედროვე მდგომარეობა, მკითხველის მინიმალურ მოთხოვნილებამდე ვერაა ამაღლებული.

გამომცემლობის სისუსტე უფრო თვალსახებია, ჩვენ სამეცნიერო დარგში.

ქართული სკოლის გაეროვნების შემდეგ, ენერგიულია ცდა, სასწავლებლის ქართული წიგნით უზრუნველყოფისათვის. კიდეც დიდია ამ მხრივ შრომის შედეგი. განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად საშუალო სკოლაა გადაქცეული, თუმც

სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი

(გაგრძელება)

ამ რიგად, საბჭოთა ფედერაციის ეკონომიური ვითარების მოხაზულობა შემდეგ სახეს წარმოადგენს:



არსებითად განკერძოებული სურათი იმლებოდა ჩვენს ნინაშე სამხედრო კომუნიზმის დროს. განსხვავება იმაშია, რომ მაშინ სამკუთხედის სივრცითი სიმბოლოზე აღნიშნული არე თითქმის ფარავდა პირამიდის მთელს ნახევარს. სამხედრო კომუნიზმში ქალაქისა და სოფლის წვრილი მეურნეობის ასპარეზი შეზღუდული იყო. სავსებით მოხბობილი იყო კერძო კაპიტალის თარეში, შერეული საზოგადოებანი (კონცესიები და სხ.) და თვით კოოპერაციაც ვიწრო ჩარჩოებში იყო ჩასმული. რაც შეეხება „პატრიარქალი ურთიერთობას“, მასში არც „ძველ“ და არც ახალ ეკონომიურ პოტიკის დროს არ მომხდარა საგულისხმო ხასიათის და მნიშვნელოვანი ცვლილებები. სახელმწიფოებრივმა კაპიტალიზმმა კვლავ გაუსნა გზა ქალაქისა და სოფლის წვრილ წარმოებას, ამოატივტივა კერძო კაპიტალი, აამოძრავა შერეული საზოგადოებანი და მათ სახელმწიფო მეურნეობაში განსაკუთრებული კუთხე მიუჩინა. რუსეთის არსებულ პირობებში, სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში ძნელი საქმე იყო უფრო შორს წასვლა, მსხვილი მრეწველობისა და სოფლის წარმოების ნიველიროვკა.

სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის საფუძვლებზე გადასვლას პირველ ხანებში, მრავალი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. გაიშალა ორი ფრონტი—მარჯვენა და მარცხენა. მარჯვნიდან: კონტრ რევოლიუციონური ელემენტები (მილიუკოვ-ბურცევი), მენშევიკები (მარტოვი და ამხ., მემარჯვენე ესერები.) მარცხნიდან: თვით ცნობილი კომუნისტები. რეაქციონურ კათეგორიის ხალხს ჰქონდა გარკვეული საზი და გეგმები შემუშავებული. მისი მიზანი იყო საბჭოთა ფედერაციის ეკონომიურ ხერხემლის მოშლა-განიავება. ეკონომიურ ძლიერების დამსხვრევასთან ერთად უსათუოდ ხელისუფლების პოლიტიკური ძლიერებაც დაეცემოდა. მარჯვენა ფრონტზე მებრძოლთ კარგათ ჰქონდათ გათვალისწინებული სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის მნიშვნელობა სამეურნეო ცხოვრების აღმშენებლობის სფეროში. ამიტომ ისინი ებრძოდნენ საბჭოთა რუსეთის ეკონომიურად აღორძინების აზრს.

„მემარცხენე“ კომუნისტები იდგნენ საწინააღმდეგო, განსხვავებულ ნიადაგზე. მათი იდეალი პროლეტარულ მასსის მიერ ძალა-უფლების შენარჩუნებაში გამოისახებოდა. ამიტომ საჭირო იყო გაძლიერება ფინანსიურ-ეკონომიურ ბაზის. რა გზით? მარქსისტულად მოაზროვნე კომუნისტებისათვის აქ შემდეგი დილემა აისახა: ან კომუნიზმი, ან კაპიტალიზმი. პირველი მეორის უარყოფაა, მეორე პირველის. ასეთი იყო. ძველ და ახალი აზრების ლოდიკური დაპირისპირება. პირველის აღიარება, მათის აზრით, მეორის უკუგდებას მოასწავებდა. ხოლო მეორის მიღება—პირველის დასამარებას. მაგრამ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი შეიქნა რეალად ისეთი მომენტი, რომელმაც შეარიგა, შეერთა ორივე უკიდურესობა. „ცდაძ დაგვანახა, ამბობს ბრეობრაჟენსკი, რომ სოციალიზმს შეეძლო წარმატებით მოხმარა მრავალ კაპიტალისტურ ფორმების (კაპიტალისტური კალკულიაცია) და საქონლის უბრალო წარმოების კათეგორიების (ფული)... მას შემდეგაც, როდესაც მოსპობილ იქნა იმ კლასის პოლიტიკური ძალა-უფლება, რომელიც წარმოადგენდა ყველა ამ ფორმებს მათს მთლიანობაში“ *)

სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს არ აქვს დიდი ხნის ისტორია და პრაქტიკა. მაგრამ მაინც ნათლად გამოიკვეთა მისი დიდი აღმშენებლობითი და პროგრესიული ბუნება მეურნეობის განვითარების საქმეში. ამ თვითვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოთა ფედერაციაში მეურნეობის აღორძინება მიმდინარეობს არა ნაწილობრივად, აქა—იქ, არამედ მთლიანად, მეურნეობის ყველა დარგებში.

სანამ არსებობდა სამეურნეო ცხოვრებაში წარმოების ანარქიული წესი, შეუძლებელი იყო ქვეყნის ეკონომიკის საერთო ტემპით აყვავების შესახებ ლაპარაკი. მრეწველობის მრავალი დარგები არ ემორჩილებოდა ნიველიროვკის საერთო პრინციპს. რა თქმა უნდა, ამას ხელს უწყობდა წარმოების განსხვავებული პირობები. ეს მართალია. მაგრამ მნიშვნელოვანია და საყურადღებო ისიც, რომ თავისუფალი კონკურენციისა და „საკუთარის გზით“ განვითარების ეპოქაში, შეუძლებელი იყო წინასწარი განსაზღვრული გეგმის მიხედვით მეურნეობას საერთო ტონი მისცემოდა. სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმმა ამ მხრით მდგომარეობა არსებითად შესცვალა. ინდუსტრიალი წარმოების დარგი, რომელიც კრიტიკულ მომენტს განიცდიდა, უფრო განვითარებულ, აღორძინებულ სამრეწველო ორგანიზაციის ხარჯზე სუბსიდიის—ფინანსიურ-მატერიალ საშუალებათა მიღებით გაუთანასწორდა, ბოლოსდაბოლოს, ეკონომიური ევოლიუციის საერთო მიმდინარეობის ხაზს.

აღორძინდა და განვითარდა მანუფაქტურის წარმოება, სართავ-საქსოვი მრეწველობა. ამასვე ვხედავთ ხათბობ მასალათა წარმოებაში. ნავთის წარმოებაში დაძლეულ იქნა კრიზისი. ლითონისა და სამთო-მადნო წარმოება თითქმის გაუთანასწორდა ომამდე არსებულ წარმოებს. მექანიკური წარმოებაც განვითარდა ორ მიმართულებით: სასოფლო-სამეურნეო იარაღების წარმოების სფეროში და ინდუსტრიისათვის საჭირო იარაღების დამზადების დარგში. აქ საგულისხმო ისიც, რომ მექანიკურ წარმოებაში თვალსაჩინო ნაბიჯები იქნა გადადგმული წარმოების უნიფიკაციისაკენ. სატრანსპორტო, საავიაციო და ქიმიური მრეწველობაც შესამჩნევლად გაუმჯობესდა. იგი აღწევს,—ზოგან კიდევაც სჭარბობს,—ომამდე არსებულ განვითარების დონეს. ყოველივე ამას უნდა მიემატოს სერიოზული ნაბიჯები მსხვილი მეურნეობის აღორძინების აუცილებელ ფაქტორის—ელექტროფიკაციის განვითარებისაკენ გადადგმული.

საერთოდ სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის პრაქტიკით მიღებულ მიღწევათა დაწვრილებითი სურათის და დეტალი ანგარიშის გადაშლა არ შედის ჩვენი თემის გეგმაში. უამრავი სტატისტიკური მასალები ასურათხატებს პროლეტარიატის ბრძოლის შედეგებს ეკონომიურ ფრონტზე...

ყოველივე ეს ამტკიცებს შემდეგს: სადაც კაპიტალსა და შრომის შუა დაპირისპირება არაა, სადაც კაპიტალი კერძო პირების ან ჯგუფების ხელში არ არის, არამედ იგი წარმოადგენს მთელი მშრომელი მასსის საკუთრებას, იქ სამეურნეო ცხოვრების ნორმალიზაციის საქმე უსათუოდ უზრუნველყოფილია...

IV

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის ძირითადი აზრი წარმოება-მრეწველობის ორგანიზაციის თვით მშრომელი ხალხის—სახელმწიფოს ხელში გადასვლაში იგულისხმება. პროლეტარული სახელმწიფო თვითონ გამოდის კაპიტალისტის როლში. იგი ამზადებს **საქონელს** და კიდევაც ყიდის მას უცხოეთის, თუ შინაურ ბაზარზე. თვით წარმოების სისტემა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის ეპოქაშიაც არაა ახალი. ახალია წარმოების აპარატი.

კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ ქვეყნებში არის მრეწველობის დარგების სახელმწიფოს განკარგულებაში გადასვლის მაგალითები. ომამდე, მაგ. საფრანგეთში თუთუნის წარმოება „რესპუბლიკის“ მონოპოლიას შეადგენდა. ანალოგიურ მოვლენას ჰქონდა ადგილი იტალიასა და ავსტრიაში. გერმანიაში მაღაროები მუშავდებოდა, და მუშავდება დღესაც, სახელმწიფოს მიერ. ძველ რუსეთში ალკოჰოლის გაყიდვის უფლება მხოლოდ მთავრობის ორგანოებს ჰქონდა მინიჭებული. ფოსტა, ტელეგრაფი და რკინის გზები, უკანასკნელ დროში—რადიო,—ყველგან სახელმწიფოს მონოპოლიას წარმოადგენს. ასანთის წარმოება სახელმწიფოს უფლებაშია საფრანგეთში.*) საეროდ, ევროპაში „ნაციონალიზაციის“ მაგალითები.

მართალია, სამრეწველო ორგანიზაციების ნაციონალიზაციის საქმე კაპიტალისტურ ქვეყნებში მეტად უმნიშვნელო დონეზეა დაყენებული. იქ მსხვილი წარმოების, მძიმე ინდუსტრიის მთავარი ღერძი არა სახელმწიფოს ხელშია,

*) ამხ. პრეობრაჟენსკის სამკუთხედის ეგ ზედა ნაწილი აღნიშნული აქვს სოციალიზმის არედ (იხ. აგრეთვე ამხ. ლენინის წერილი: „О продовольственном налоге“. გამოცემულია ცალკე წიგნაკად. საინტერესოა იმ მხრით, რომ მასში სხარტულადაა გამოთქმული ლენინის შეხედულება სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმზე). ვფიქრობთ, სახელმწიფო მრეწველობის სოციალიზმად მონათვლა არ არის ჟეშმარიტების დაგვარი. ამის დაშვება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავიზიარებთ სოციალიზმის რაობის ისეთ განმარტებას და ვიწრო თვალსაზრისით გაგებას, რომელსაც, მაგ., პლეხანოვი იძლევა. მისი აზრით, „სოციალიზმი მოასწავებს მწარმოებლის ბატონობას საწარმოო საშუალებებზე“ (**История русской общ. мысли** I, 71). საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციის ინდუსტრიაში მუშა (ე. ი. სახელმწიფო) ბატონობს საწარმოო იარაღებზე, მაგრამ მაინც ერთობ დაშორებული ვართ წარმოების სოციალისტურ სისტემას,—სოციალიზმს საზოგადოთ.

*) Преображенский. От нэп'а к социализму. Москва, 1922. IX, 64.

*) Проф. Огют Амон. Собственность. 1908 წელი, 28—30.

ღამის ფრაგმენტები

1.

როცა საათი თორმეტჯერ დარეკს,
გვაცნობებს შობას და მიცვალებას;
ნაზ მოგონებებს სიჩუმე არეკს
და გამძაფრებას აძლევს წვალებას.

მთვარე-გვირგვინი საჯვარისწერო,
ედგმება დავითს და ფუნიკულერს;
შენზე წყლულებით, რომ დავისერო
მოუხმობ სფინქსებს და ორაკულებს.

უცქერი მთვარეს, ასე მგონია,—
შენც მას უცქერი ჩემსავით ახლა.
შენზე ფიქრები და აგონია
ღამის სიჩუმემ კვლავ განმიახლა.

2.

ცას ამშვენებენ ვარსკვლავთა კრთომა,
ტფილისს ელექტრო შუშების შუქი;
მე ისევ დავრჩი „ურწმუნო თომა“
და ოცნება მაქვს მოთალხო-მუქი.

არის ქაოსი და უსაზღვრობა
და ნიღაბის ქვეშ სიმართლის მალვა.
სიყვარულია ახლა მასხრობა,
აღარ არიან თამარ და შალვა.

3.

დარაჯმა დარაჯს გაეხმაურა
და მეეზოვეს დაუფრთხო ძილი,
სიცოცხლემ სიკვდილს არ ეცნაურა
და დიდუბეში არის ქორწილი.

სასწრაფო ცნობა პარალელ სინებს
რკინის სვეტებზე აამეტყველებს.
სიო გველსავით გაისისინებს
და ჭლექიან ქალს სისხლით ახველებს.

4.

როცა შუქურამ მთებიდან მთებზე
ზარადხანიდან გასტორცხნა სხივი,
მე დავინახე—ხიდის დამბებზე
მოულოდნელად დაიმტვრა ტივი.

ის გადაურჩა ლიახვს და არაგვს
და ჩამოვიდა მთებიდან ბარში;
მაგრამ ეხლა კი საშველი არ აქვს
და იღუპება ტფილისში, მტკვარში.

ი. ხინველი.

ბოლოს უმაღლეს სკოლასაც გამოუჩნდა მზრუნველთა ხელი და აქაც გვევლინება დიდ მნიშვნელოვანი შრომები.

ამ ჟამად გვაინტერესებს ქართული უნივერსიტეტის საისტორიო ლიტერატურის კათედრა. ამ უნივერსიტეტის გახსნის დღიდან-დღემდე, ქართულ ენაზე, ერთი სისტემატიური-ვრცელი კურსი, (მხედველობაში არ ვღებულობ ნაწყვეტ შრომებს).

ალ. წერეთლის წიგნი **„ევროპის პირველი ცივილიზაცია“** (კრეტა-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა) საყურადღებოა ამ მხრით.

მსოფლიო ისტორიისათვის მე-XIX საუკუნის დასასრული მე-XX-ეს დასაწყისი გრანდიოზულ აღმოჩენათა ხანაა.

კრეტა-მიკენის (ეგეოსის) კულტურა საოცარ საკვირველებით ევლინება თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას. დაიმსხვრა მრავალი შექმნილი და მეცნიერულ ჩარჩოში გამონაკვეთი ისტორიული ტრადიცია.

ისტორიის დინჯი კალმოსანნი გატაცებულნი არიან აღმოჩენებით. ალ. წერეთლის წიგნის მიზანი როგორც თვით ავტორის წინასიტყვაობიდან სჩანს მდგომარეობს: „ერთის მხრივ აღნიშნოს მოკლე ისტორია ამ აღმოჩენათა, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნეს ისტორიის მეცნიერებაში, ხოლო მეორეს მხრივ გაარკვიოს და დაახასიათოს ხსენებული კულტურის გავრცელების მთავარი ადგილები, მისი საერთო სურათი და ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებთან დამოკიდებულება“.

მიზანი ნათელია. ხსენებული შრომა მიზანს სავსებით აღწევს და ამდენადვე მისი არსებობის raison dêtr გამართლებულია.

წიგნის პირველი თავი: ეგეოსის კულტურის ძეგლების აღმოჩენა, იწყება კურსის შესავლით, შლიმანის ბიოგრაფიით და მისი მუშაობის დახასიათებით პისარლიკზე მიკენში და ტირინთში. აქვეა კრეტაზე აღმონაჩენთა რაობის გარკვევა. ამ კუნძულის ცივილიზაცია, კრეტას ანუ მინოსის კულტურათაა ცნობილი, რომელის დეტალი და თვალსახები ნიშნებში გაშლას ემსახურება წიგნის მეორე თავი. ძეგლების და დამწერლობის საუცხოო ილიუსტრაციით და განსაკუთრებით კი ავტორის ინტერპრეტაციით ეს მიზანი ძლეულია სრულიად. კრეტას კულტურის განვითარებაში ორი მთავარი ხანაა აღნიშნული. **ნეოლიტური** და **ბრინჯაოსი.** აღმოჩენათა მიხედვით, ავტორის დანასკვით, ბრინჯაოს საუკუნეს წინ უსწრებდა ნეოლიტური. დებულების სისწორეს ამტკიცებს ამ საუკუნის (ნეოლიტ.) ძეგლების აღმოჩენანი კნოსში, ფესტში, პალაიკასტროში და სხვაგან. აქვე ავტორს მოყავს განსაზღვრა ამ საუკუნეთა შორის.

ბრინჯაოს საუკუნის ეპოქალურად დაყოფის დროს, ავტორი ღებულობს ცნობილი მეცნიერის ევანსის კლასიფიკაციას. (გვ. 73).

მიკენის პერიოდის შესწავლისათვის ალ. წერეთელი ეხება ტროადისა და მისი ნაშთების დახასიათებას. ჩერდება მიკენისა და ტირინთის ძეგლების გარკვევაზე, იხილავს მის დაარსების დროს („მიკენის“ კულტურა) და არკვევს მის დამოკიდებულებას კრეტას კულტურასთან.

ეგეოსის კულტურის გავრცელებას დათმობილი აქვს ცალკე თავი. ეს მომენტი უაღრესად მაღალ-მნიშვნელოვანია კრეტა-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურის ისტორიაში. ხსენებულ ნაშრომში, შედარებით მოკლედ მაგრამ კონკრეტ სახეებშია ჩამონაკვეთი და საღ სურათს უშლის მკითხველს ამ კულტურის გავრცელების სხვა და სხვა პერიოდისა და მისი აღმოსავლეთის კულტურასთან დამოკიდებულების გამოკვლევა.

წიგნის დასასრულს, ავტორი იხილავს მეტად საინტერესო პრობლემას: **რომელ ხალხს თუ ტომს უნდა ეკუთვნოდეს კრეტა-მიკენის კულტურა.**

სანამ სხვა და სხვა მკვლევართა აზრს შეეხებოდეს, მას, საჭიროდ მიაჩნია ვიცოდეთ: ძველ ბერძნებს ქონდათ თუ არა რაიმე ცნობა მათზე წინ „ელადაში“ მცხოვრებ ხალხთა შესახებ. ამ კითხვას დადებითად უპასუხებს ავტორი და მის დასამტკიცებლად იხსენიებს თქმულებებს პელასგებზე, ლელეგებზე, ეტეოკრეტელებზე და კარიელებზე. ამას გარდა ამ აზრის ნათელსაყოფად ბ-ნ წერეთელს მოჰყავს თვით ჰომიროსის ცნობა ორიგინალიდან.

იზიარებს მეცნიერ დიუსოს და პეროუტკას და აგრეთვე დიდი მეცნიერის ედუარდ მეიერის შეხედულებას, რომლებსაც ეგეოსის კულტურა არ მიაჩნიათ არიელთა და სემიანთა შთამომავლობის კულტურად.

მრავალი საბუთით იგი ეწინააღმდეგება პროფ. ლიხტენბერგისა და შტერნის შეხედულებას, რომელნიც საწინააღმდეგო მოსაზრებას იცავენ ხსენებულ კულტურის წარმოშობის საკითხში. ჩვენი თანამემამულე მეცნიერის აკადემიკოსის ნ. მარრის აზრი, ეგეოსის კულტურის შემქმნელ პირველ ელემენტად იაფეტიდების მიჩნევა, ჯერ კიდევ დასაბუთებას მოითხოვს, იგი იმდენად ვერ ხდება ავტორის სახელმძღვანელო აზრად.

დასასრულ წიგნის გამოკვლევის მხრივ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე პერიოდში ეს არ[illegible] მიღწევაა. ქაღალდი შერჩეულია და კლიშეებიც შესაფერისი. რის გამოც საილუსტრაციო სურათებს არ აკლია კურსივი.

ენა წმინდა ლიტერატურულია და ფონეტიკურად სწორი. ესეც თავის მხრივ დიდ ღირსებას ანიჭებს ნაშრომს. წიგნი მოზრდილი ფორმატისაა.

ავტორი მრავალი წყაროებით სარგებლობს. უმთავრესად ევროპიული და ბერძნული გამოკვლევებით.

გ. თ—დი.

ბიბლიოგრ

გავროში, რევოლიუციონური მოთხრობა ვ. ჰიუგოსი, გამოცემა საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკასი № 10 (?), ტფ., 1923 წ. ფასი 15 კ. ჩერვ., 64 გვ.

ჩვენ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირი პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად თვალსაჩინო კულტურულ საქმიანობასაც იჩენს, განსაკუთრებით საგამომცემლო დარგში. ამის საბუთია წინამდებარე მისი გამოცემა, რომელსაც დართული აქვს საგულისხმიერო წინასიტყვაობა, რუსულიდან თარგმნილი, სადაც გავროში საუცხოოდ დასურათებულია, როგორც დიდი ქალაქის, ამ შემთხვევაში, პარიზის ქუჩის ბიჭის (გამენის) ტიპი.

ინდუსტრიისა და კაპიტალიზმის წიაღში წარმოშობილი გამენი—გავროში პოტენციით ნამდვილი რევოლიუციონერია: თუ საჭიროებას მოითხოვს, ის ბარიკადების გაბედული და მედგარი მცველია და მარტო იმას წუხს, რომ ბავშვად თვლიან და თოფის ღირსად არ ცნობენ უფროსი მებარიკადენი. მაგრამ თავისი უანგარო და მამაცი მოქმედებით მან ეს უფლება იარაღის ტარებისა მიიღო და სიცოცხლეც შესწირა იქ, სადაც მშრომელი ხალხის ინტერესი მოითხოვდა.

გავროში არაა ჰიუგოს ფანტაზიით შექმნილი ტიპი. იგი რეალ ცხოვრების, საფრანგეთის ისტორიის ღვიძლი შვილია. მას ჩვენ ვხედავთ ჯერ კიდევ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ხანაში. გახსენეთ ვანდეის ამბოხება და 14 წლის ეოზეფ ბარა, რევოლიუციონურ ლაშქრის მოხალისე, რომე-

---

არაუფრ, როგორც ჰილფერდინგი აღნიშნავს,—ბანკირთა ჯგუფების. კარტელები, ტრესტები, სინდიკატები, კომპანიები და მრავალი სხვა ორგანიზაციები ანდენს ქვეყნის სიმდიდრის ექსპლოატაციას. მათზე სახელმწიფოს გავლენა მკრთალია. აშკარავდება შემდეგი: კაპიტალის ბატონობის ამ ორგანოებში მოკალათებული კაპიტალისტები მიისწრაფიან არა მარტო ფინანსიურ აპარატის, არამედ მთელი სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიურ და სოციალ-პოლიტიკური აპარატის—სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისაკენ. ამის უტყუარი ტენდენცია ამერიკის „ფინანსიურ არისტოკრატიას“ ემჩნევა. **დემოკრატიზმიდან ოლიგარხიისაკენ!**—აი რას ეტრფის კაპიტალისტური ბურჟუაზია.

საერთოდ უნდა აინუსხოს, რომ სოციალ-ეკონომიური ევოლიუციის სვლიგვზი სამსოფლიო მასშტაბით, სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმისაკენაა მიმართული...

რა არსებითი ხასიათის განსხვავებაა ბურჟუაზიულ ქვეყნების კაპიტალიზმსა და საბჭოთა ფედერაციის პროლეტარულ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს შუა? ყოვლის უწინარეს ის, რომ კაპიტალისტური მეურნეობის მესაკე ბირველ შემთხვევაში—ბურჟუაზიაა, კერძო პირები, **კაპიტალისტთა კლასი,** ხოლო მეორე შემთხვევაში—თვით პროლეტარული სახელმწიფო, მთელი **მშრომელთა კლასი.** ეს განსხვავება ლოდიკურად იძლევა ძირითადი და მთავარი, არსებითი გამიჯვნის პირობას: სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის დროს ზედმეტი დირებულება, მოგება მიდის არა კერძო პირების, ან პირთა ერთობათა განსაზღვრულ ჯგუფის ჯიბეში, ხდება ინდივიდუალი საკუთრება და ემსახურება „ამა ქვეყნის ძლიერთა“ კეთილდღეობას, არამედ იგი ემატება მშრომელთა კლასის სალარო, ხმარდება მშრომელი ხალხის ინტერესებს. კაპიტალიზმის ფინანსიური სისტემა მშრომელი მასსის გაღატაკების და ბურჟუაზიის გამდიდრების სისტემაა. საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი კი—მუშათა კლასის და მისი სახელმწიფოს ეკონომიურ-ფინანსიურად გაძლიერებას თანწყობაა. მართალია, ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს კაპიტალთან. მაგრამ კითხვის ბოლოძმე კაპიტალის არსებობაში არაა, არამედ ამაში, თუ ვის ხელშია საერთოდ კაპიტალი. „ამდიდარი დარიბისაგან იმით კი არ განსხვავდება—სწერს მარქსი,—რომ პირველს აქვს მიწა და ფული, არამედ შრომაზე ბატონობით“ *) სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმში კაპიტალი კი არ ბატონობს შრომაზე, პირიქით, შრომის ინტერესი განაგებს კაპიტალს. ჩვენი მიზანი დაქირავებულ შრომის და კაპიტალის ლიკვიდაციაა. ეს კომუნიზმის საკითხია. ამიტომაცაა ნათერად, რომ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს არ ახასიათებს ინტეგრალი სოციალიზმის საფუძვლიანობის მისაკუთრება. **)

*) К. Маркс. Капитал, I, 440.

) ელემენტარი აზროვნება ხშირად ურევს სახელმწიფოებრივ კაპიტალიზს და სახელმწიფოებრივ სოციალიზმს ერთმანეთში. ეს რომ ჭეშმარიტებას მოკლებულია, სჩანს შემდეგიდან. კაპიტალის საერთო ფორმულაა: ფული—საქონელი—ფული plus დამატებითი ღირებულება, ახალი ფული. შემოკლებით: ფ—ს—(ფ+ა). სოციალიზმი მარტივი ეკონომიური სხეულია. იგი არ შეიცავს დამატებითი ღირებულების ძიებას. მასში ფულის ტრიალს არ ექნება ადგილი. საქონლის გაცვლა-გამოცვლა **უშუალოდ იწარმოებს. ამიტომ სოციალიზმში გვექნება ფაქტი საქონლის საქონელზე გადაცვლის, ანუ, მოკლედ: ს—ს. არც შრომის დაქირავებული სისტემა იქნება სოციალისტურ საზოგადოებაში. სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს კი იგი თავიდან ბოლომდე ახასიათებს..

***) К. Маркс. Капитал, I, 441—442 (თარმანი 3. სტრუვეს რედაქციით, 1899 წ.)

საზოგადოდ, კაპიტალიზმის **დამახასიათებელი** მომენტთაგანი კლასების ჩამოყალიბებაა, კლასთა დაპირისპირება: სადაც არ არის ეს მომენტი, იქ კაპიტალიზმის მთელი თავისი ატრიბუტებით არსებობის შესახებ შეუძლებელია ლაპარაკი. სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმს არ ახასიათებს კლასთა ფორმაცია. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ კლასთან—მშრომელ მასსასთან და კაპიტალთან, რომელიც მის ხელშია მომარჯვებული.

მუშათა კლასის ექსპლოატაციის საკითხი პროლეტარულ სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმშიაც იწვევს უდიდეს ინტერესს. „იყვნიფება“, თუ არა სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმში დაქირავებული სალხი? ამ საკითხს ყოველ გზაჯვარედინზე აყენებენ კაპიტალიზმის რესტავრაციის მოციქულები. მათის აზრით, „ექსპლოატაციის და თვითნებობის“ რეალობა უდაო ფაქტია.

მართლაც, დიდი ინტერესი აქვს ამ საკითხის არა დემაგოგიურ, წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით გაშუქებას. იმის დაფარვა, რაც არის, უდრის იმის უკუგდებას, რაც უნდა იყოს.

გ. ზინოვიევმა რ. კ. ბ. მეთორმეტე ყრილობაზე კატეგორიულად განაცხადა: სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის „პირველმა წელმა დაგვანახა, რომ იგი (სახ. კაპ.) არ არის ახალი ფორმა მუშათა ექსპლოატაციის“. ამხ. ზინოვიევის აზრი იმ მხრით იქნება რეალი ჭეშმარიტება, თუ მას ისე გავიგებთ, როგორც ექსპლოატაციის **ახალი** ფორმის უარყოფას.

სოციალისტურ იდეოლოგიაში უდაოა და საზოგადოდ ცნობილი ის დებულება, რომ მანამ, სანამ არსებობს შრომის დაქირავებული სისტემა, ცოცხალი ძალის ექსპლოატაცია მუდამ იარსებებს. ექსპლოატაცია გულისხმობს ზედმეტი შრომის მითვისებას, ან მარქსის ტერმინებით რომ ვსთქვათ, „გამოუსყიდველი შრომის“ რეალობას. ***)

დაქირავებული შრომით სარგებლობაში ორი მომენტია. პირველი: როდესაც მუშა ქმნის ღირებულებას. ამ შემთხვევაში ხელფასი უდრის შრომის ნაყოფის ღირებულებას. მეორე; როდესაც მუშის შრომა აუნაზღაურებელი რჩება. ამ მომენტშია ჩაქსოვილი კაპიტალისტის გამდიდრების და მუშის ექსპლოატაციის ძირითადი პირობა. აქ კაპიტალისტი ნაშრომს მუქთად ითვისებს. ამიტომ მეორე მომენტი არის კაპიტალის ზრდისა და განვითარების დაუშრეტელი წყარო.

უეჭველია, პროლეტარული სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმის შინაარსიც შეიცავს დაქირავებულ შრომით სარგებლობაში ორივე მომენტს. მაგრამ აქაც საქმე გვაქვს კოლოსალი სხვაობასთან. საქმე იმაშია, რომ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ რეჟიმში დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია უსაზღვრობისაკენ მიიღტვის. სახელმწიფოებრივ-კაპიტალისტურ სისტემაში ექსპლოატაციის ტემპი შეზღუდულია და დამოკიდებული უმთავრესად გარემოებებსა და პირობებზე. ექსპლოატაციის, ეხე იგი ზედმეტი შრომის გახანგრძლივების აუცილებელი საჭიროება ისახება იმ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, როდესაც ამას მოითხოვს სახელმწიფო წარმოების და მაშასადამე, მშრომელთა კლასის ინტერესები. საბჭოთა ფედერაციის ეკონომიურ მშენებლობაში უსვად მოიპოვებოდა ფაქტთა მთელი რიგები, როდესაც ამა თუ იმ წარმოების მუშა-მოსახსურე დღე ღამეში 14—16 საათს მუშაობდა, ხელფასის მინიმალ რაოდენობის დაცვით. თანამედროვე პირობებში მზგავს მაგალითებს იშვიათად აქვს ადგილი. ყოველ შემთხვევაში, მოსალოდნელია მდგომარეობის გაუარესებით.

ამრიგად, არსებობდა და არსებობს მუშათა ძალების ექსპლოატაცია. პროლეტარული სახელმწიფო, როგორც იურიდიული პირობენება, ანდენს ამას. ექსპლოატაციის რეფლექსი—ზედმეტი ღირებულება, ყველა მისი სახეებით, სახელმწიფო სალაროში მიდის. სახელმწიფო კი თვით მშრომელი მასსაა. აშკარაა, რომ ის შრომა, რომელიც გლეხმა და მუშამ გაიღო უფასოდ, საერთო ჯამში მაინც ანაზღაურებული ხდება. ეს უდრის ექსპლოატაციის ანულიაციას არსებითად.

საერთოდ, ხელფასის გადიდებას და სამუშაო დროის შემცირებას დიდი დადებითი გავლენა აქვს წარმოების ინტენსიფიკაციაზე, „სამუშაო ძალის წარმოებითი უნარი, სამართლიანად აღნიშნავს მარქსი,—პირუკუ პროპორციულია სამუშაო დროსთან“*). ამიტომ მუშათა „ექსპლოატაციის“ მოსპობა სამუშაო დროის შემცირების სახით, სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის, მუშურ-გლეხურ ეკონომიური პოლიტიკის პრაქტიკული იდეალია.

მუშათა ხელფასის გადიდება წარმოების ნაყოფიერებაზეა უმთავრესად დამოკიდებული. მრეწველობის იმ დარგში, სადაც ნაყოფიერება ვერ ხდგას სათანადო სიმაღლეზე, მუშათა ხელფასის გადიდება უაზრობაა, რადგან იგი წარმოების გაღატაკებას, მაშასადამე, დაცემას გამოიწვევდა. კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ ქვეყნებში ხშირად აქვს ადგილი მდგომარეობას, როდესაც წარმოების ნაყოფიერების, პროდუქტიფიკაციის დაცემის პარალელად ეცემა მუშათა ხელფასი, ხოლო მისი აღორძინება-განვითარების გვერდით—ხელფასი მაინც რჩება ძველს რაოდენობაში. ხელფასის გადიდებისათვის მუშათა კლასს სჭირდება გაფიცვა, ბარიკადები და რევოლიუციონური ბრძოლა. სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმმა არ იცის ანალოგიური მაგალითები. მისთვის წარმოების ინტენსიფიკაცია და ხელფასის გადიდება, ე. ი. მუშათა კლასის მდგომარეობის გაუჯობესება, განუყრელი სინონიმებია. მართლაც, სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის პრაქტიკაში მრავალია ამის დამამტკიცებელი ფაქტები*).

მოკლედ: მუშა ხელის ექსპლოატაციის საბოლოოდ მოსპობა, მისი ძირ ბუდიანად აღმოფხვრა მხოლოდ სოციალისტურ წეს-წყობილებაშია წარმოსადგენი, ე. ი. ისეთ სოციალ ორგანიზაციაში, რომელშიაც არ ექნება ადგილი დაქირავებულ შრომის სისტემას.

პროლეტარული სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი დიდად რომ განსხვავდება ოფიციალი მენშევიზმის საოცნებო ბურჟუაზიულ კაპიტალიზმისაგან, ეს არც ჩვენი პოლიტიკური მტრებისათვისაა დაფარული ჭეშმარიტება. აი რას სწერს ბურჟუაზიული რანგის პროფესორი უსტლიაროვი: „ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პოლიტიკა საბჭოთა სახელმწიფოსი და არა კაპიტალიზმის ძველი პოლიტიკა... ხომ შესაძლებელია მეცნიერულად დამტკიცებულად ჩაითვალოს, რომ ისტორიაში სოციალ ორგანიზმის წმინდა ტიპები არ არსებობს. განა თანამედროვე კაპიტალისტურ ორგანიზმში აღმოფხვრილია ფეოდალ წყობილების ყველა მხარეები და თავისებურებანი?.. და თუ ახლა ვხედებით სოციალისტურ მშენებლობის შეთავსებას კაპიტალიზმის ელემენტებთან, ეს ისეთივე მიზანშეწონილი ისტორიული მოვლენაა, როგორიც იყო კაპიტალისტური მშენებლობის პროცესი ფეოდალ გარემოში. ნიშნავდა თუ არა ეს წარსულში იმას, რომ კაპიტალიზმი დამარცხებული იქნებოდა ძველი საზოგადოებრივი ორგანიზმის მიერ?“. ამ კითხვაზე ავტორი უარყოფითად უპასუხებს**).

გ. მუშიშვილი

(შემდეგი იქნება).

---

*) Преображенский Op. cit. II, 49—52.

**) „Накануне“ № 244, ბერლინი. ამ გაზეთში მოყვანილი უსტლიაროვის წერილი, ამოღებული ხარბინის „Новости Жизни“-დან.

ლიც მეამბოხეებს ხელთ ჩაუვარდა. „დაიყვირე: მეფეს გაუმარჯოს! არა და ჯოგკლავთო“ —გამოუცხადეს მეამბოხეებმა. — „გაუმარჯოს რესპუბლიკას“! შეჰკივლა უშიშარმა ბარამ და სულიც განუტევა. (იხ. პროფ. რამბო, საფრანგეთის რევოლიუციის ისტორია). ან კიდევ არ შეიძლება გავროშთან დაკავშირებით არ გაიხსენო მეორე ისტორიული ფაქტი: 13 წლის უშიშარი ბავშვი—ჟოზეფ ვიალა, რომელიც ტყვიის სეტყვას არ შეუშინდა და პირველი ეკვეთა ცულით ხელში პონტონის ხიდს კანაფის გადასაჭრელად. კონვენტმა ორივე გმირი დიდი ზეიმით დაასაფლავა მთელი საფრანგეთის სახელით.

ჰიუგოს გავროშიც მათი, ასე ვთქვათ, ლიტერატურული აღსახვაა, ღირსეული მათი მემკვიდრეა, მშვიდობიან დროს ის სულ ქუჩაში დაძრწის, ხშირად რამდენიმე დღის უქმელ-უსმელი. მიუხედავად ამისა, როცა გაუჭირდება, პურს და ხანდახან ბულკასაც იშოვის: თვალსა და ხელს შუა ცხვირ წინ ააცლის ხოლმე მეკონდიტრეს ტკბილ ნამცხვარს. მას ფული არ გააჩნია, მაინც თეატრში ქანდარაზე უკლებლივ დაიარება და დიდი ქალაქის კულტურული ცხოვრება და მოთხოვნილება მისთვის უცნობი არაა. გავროში ენა კვიმატიანია, მოხერხებული, იგი ამხანაგს, თუ უჭირს, ჯიბიდან შეუმჩნევლად ამოაცლის ფულით სავსე ქისასაც: მაგრამ იმიტომ კი არა, რომ იქურდოს, მიისაკუთროს, თავის საჭიროებაზე მოიხმაროს, ამოაცლის მიტომ, რომ ეს ფული იქვე, მის ახლოს, ბაღში სკამზე ჩამომჯდარ მოხუც ცოლქმარს, ერთმანეთს რომ შესჩივლიან თავის ჭირვარამს, გადუგდოს.

„ქისა პირდაპირ მაბეფის (მოხუცის) ფეხებთან (?) დაეცა.—ვკითხულობთ ჰიუგოს საწარმოებში.— მოხუცი დაიღუნა, აიღო ქისა და ნახულობს (!) შიგ ორ განყოფილებას; ერთში წვრილი ფული იყო, მეორეში კი—ექვსი ოქრო. შეშინებულმა მოხუცმა ქისა დედაბერს უჩვენა. - ეს ჩვენ ციდან ჩამოგვივარდა—სთქვა დედაბერმა“. (21 გვ.). ეს ცის წყალობა იყო მათი უცნობი გავროში, რომელიც თითონ მშიერი იყო, მაგრამ უყოყმანოდ ხელს უმართავს საბრალო მოხუცთ.

ასეთია გავროში. მისი ქართული თარგმანი თვალსაჩინო განძია ჩვენს მოზარდთა მწერლობისათვის და ამიტომაც მის გამოცემას ჩვენ სიამოვნებით და კმაყოფილებით უნდა გამოვეხმაუროთ.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ „ჩიქორთული“ ამ თარგმანსაც არა აქვს თავიდან აშორებული. ეს საკმაოთ ნაკლია წიგნისთვის.

„სალდათები“ (63 გვ.), „კარტეჩი“, „ფანტანი“ (60 გვ.), „პირველი შემხვედრი“ (Сперный встречный, 39 გვ.) „მეზარაბანე“ (40 გვ.) და სხვა ამგვარი უხვათაა მიმობნეული თარგმანში.

წინადადების ქართულ კონსტრუქციაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. „ფეხების ხმა“ (50, 51 გვ.), „იმათმა მოუსწრეს“ (53 გვ.), „იმათმა ზომები მიიღეს“ (46 გვ.), „მონები გამოყავენ“ (47 გვ.), „იმათმა დაიჭირეს“ (54 გვ.), „თოფებს ტენიდენ“ (55 გვ.) ასეთი ჟარგონი წიგნს ღირსებას უკარგავს.

მიუხედავად ამისა ჰიუგოს ნიჭი იმდენად ძლიერია, რომ იგი სუსტ თარგმანშიაც თვალსაჩინოდ ჩქეფს, მასი კითხვის დროს სრულიად გავიწყდება აღნიშნული დეფექტები და სავსებით იჩრდილება რუსულის ძლიერი ზეგავლენა, თარგმანს რომ ახასიათებს.

მაინც სიამოვნებით ვეგებებით „გავროშს“, ვუსურვებთ მას ფართოდ გავრცელებას ჩვენს მკითხველ ახალგაზრდობაში, ხოლო კომკავშირს განმეორებით ვურჩევთ მეტი ყურადღება მიაქციოს ენას, ენას და ენას. ამით მისი თარგმანები მხოლოდ და მარტო მოგებაში დარჩებიან.

B.

პროვინციაში

სოფ. საგვაზავო. (სენაკის მაზრა, კვათანის თემი). ეს მოზრდილი სოფელია, რომლის სილამაზეს ხელს უწყობს მისი უხვი მოსავლიანი და მჭიდროდ დასახლებული მცხოვრებნი. აღმოსავლეთით მას მხოლოდ ორი ვერსის მანძილზე ახლავს ისეთი კულტურული ცენტრი, როგორიც არის ახალი აბაშა. სოფელში ადგილობრივ ორიოდე კულტურული დაწესებულებანი არის, მაგალითად მთლიანი შრომის სკოლა და კოოპერატივი, ეს უკანასკნელი დაწესებულება კი ნამდვილი რადიო სტანციის დანიშნულებს დიდი სიმტკიცით და სინამდვილით ასრულებს. სიტყვების მიმღები მანქანის წვერო იმდენად მაღალია, რომ თუ სადმე შორეულ ოკეანეში მენშევიკებით დატვირთული მოცურავი გემი მოიპოვება, მათი საიდუმლო ხმების ტალღები არ ასცილდება მას. ამისათვის ხშირად კოოპერატივის კარებთან მუდმივ ხედავთ ერთ და იგივე ცნობის მოყვარეთა უსაქმო პიროვნებებს. უკეთესი იქნებოდა ასეთი მოიტელიგენტო პიროვნებები, რომელნიც მხოლოდ უშინაარსო სჯა-ბაასში ატარებენ დროს, საქმეს მოკიდებდნენ ხელს და სოფელში, სადაც არ მოიპოვება სამკითხველო იფიქრებდნენ მის დაარსებაზედ.

სამკითხველოს საშუალებით შრომისაგან ილაჯგამოლეულ მშრომელ გლეხობას შეძლება მიეცემა გაიგოს ყოველივე ის, რაც მის ირგვლი ხდება და გაეცნოს სადღეისო საჭირბოროტო საქმეებს. უდავოა, რომ გაზეთი გონების საზრდოა, გამფანტველია ყოველივე ცრუმორწმუნეების და ლახვარია სიბოროტისადმი.

ვუსურვებ საგვაზავოს მოწინავე ინტელიგენციას ყოველივე შეცდომების გამოსწორებას.

გრიშა ქვიტირელი.

ხელოვნება

ხელოსანთა კლუბში (პლეხანოვის ქ. № 96). დღეს, აშულების დასტის მიერ გამართულ იქმნება ჰაზირას საღამო. საღამოს გახსნის იოსებ იმედაშვილი—წაიკითხავს „ჰაზირას ცხოვრება—მოღვაწეობა და აშულობა“. მონაწილეობენ აღმოსავლეთურ მემუსიკეთა საუკეთესო ძალები. გადიდებულ აშულურ დასტას ხელმძღვანელობენ: ა. ქოთოევი და ს. კიკოლაძე.

ბაღი-თეატრი **„ახალი წრე“** (ყოფილი ტფილისის „კრუეკი“, ვერის ხიდთან) დღეს, 17 ივლისს ქართული დრამის კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქმნება ვ. გუნიას 3 მოქმ. მხიარული კომედია.

„დამთხვეული ღენერალი“. ბაღში მოწყობილია ლოტო, ბილიარდი, ბუფეტი, უკრავს სამხედრო და სიმებიანი ორკესტრები და საზანდარი ღამის 12 საათის შემდეგ გაიმართება **„კალეიდოსკოპი“**. კონფერანსიე ნ. დიმოვი.

ამავე კოლექტივის მიერ მზადდება შემდეგი წარმოდგენისათვის სახელგანთქმული ფრანგული კომედია **„ნათლული“**.

ვაჭრობის მოქმედებანი — და ბანკარობულებანი —

ბრძანება № 12.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დამტკიცებულია ამხ. ჟოჟიკაშვილის, ავაქოვის, მგალობლიშვილის, კ. მოდებაძის და ბ. კალანდაძის შედგენილობით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ა. გეგეჭკორი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი:

ალ. სალარიძე.

1923 წ. ივლისის 13.

ტფილისი—სასახლე.

წერილები რედაქციის მიმართ

მოქ. რედაქტორო!

გაზ. „ტრიბუნა“ ა. წ. 11 ივლისს № 518 მოთავსებულია წერილი, რომელზედაც ხელს აწერს, როგორც პასუხისმგებელი მდივანი კომიტეტისა ვარლამ ჩლაიძე, სხვათა შორის მოყვანილია მისი, ვარლამ ჩლაიძეს, პროვოკაცია, მითომ და ბადაშვილი, ჩხეიძე და სვანიძე ეუბნებოდნენ ქართველ დელეგატებს—„რუსები და სომხები გვიდგანან ოპოზიციაში, მათ ქართველების მოსპობა უნდათ, ჭკათ მაგათო. დელეგატები უჯერებდნენ ბადაევს, ჩხეიძეს და სვანიძეს და ეხლა აღარ უჯერებენო“. ამაზე ჩვენ ქართველი დელეგატები ვაცხადებთ, რომ ეს არის ჩლაიძის პროვოკაციული გამოსვლა. ზემოხსენებულ პირებს არ ეკრძალებიათ ქართველ დელეგატებში ასეთი ხმები.

ჩვენ ქართველი დელეგატები არც ისეთი უვიცნი ვართ, რომ ასეთ მოქმედებისათვის რასაც აბრალებს ჩლაიძე—ბადაევს, ჩხეიძეს, სვანიძეს არ გაგვეწია ანგარიში და მათთვის დაგვეჯერებინა ყველაფერი. მათ ასეთი საშუალებით არ უმუშავნიათ და ყველა სიტყვები ჩლაიძისა არის პროვოკაცია. წერილის დანარჩენ მასალებში გასცემენ პასუხს საერთოთ დელეგატები და კომიტეტი—ჩვენ ქართველი დელეგატებს ზემოხსენებულ პირებს უჯერებთ ისევე როგორც, დღემდე უჯერებდით, თუ რასაკვირველია ეს იქნება საზოგადოებისათვის სასარგებლო და მისი ინტერესების დაცვა.

ჩვენი ქართველი დელეგატების არც დაჭრთამვა და არც შეშინება შეიძლება.

ბიზღი შენ, გაწმენდილო საზოგადოებიდან ვარლამ ჩლაიძე.

შენ მეტი არაფერი დაგრჩენია პროვოკაციის გარდა.

1) ჩხაიძე,
2) კასრაძე,
3) ბერიკაშვილი,
4) ნ. ცერაძე,
5) ჩიგოგიძე,
6) სალუქაშვილი,
7) ონიფე სვანიძე,
8) ნ. ომიაძე,
9) თ. ჯიქია,
10) კ. მაყაშვილი,
11) ა. ბაქრაძე,
12) ზ. ბაზიერაშვილი,
13) დ. წითლანაძე,
14) კ. იაშვილი,
15) ვ. შათირიშვილი.

მოქ. რედაქტორო!

გაზ. „ტრიბუნაში“ ა. წ. 11 ივლისიდან №—518 მოთავსებულია საზოგადოებიდან განდევნილ ვარლამ ჩლაიძის წერილი ქ. ტფილისის ხელოსანთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების შესახებ და სხვათა შორის ნათქვამია, რომ „საზოგადოების კლუბში პოზიციის ამხანაგებმა ყველამ შემოსავლიანი ადგილები გაიჩინეს, ბადაევმა და ჩხეიძემ კლუბის დიქტატორ—ხაზეინებმა კლუბში მოაკალათეს თავიათი ცოლები, ცოლის ძმები და სხვები ბირჟის გარეშე. რომ ყველა ესენი უნდა იყვნენ გაცოცხილი და ამისათვის არჩევნებიც გადასდეს“.

ამაზედ კლუბის კომისიის პრეზიდიუმი აცხადებს შემდეგს: კლუბს ჰყავს შტატი მოსამსახურეებისა 16 კაცი. ყველანი ესენი მიღებულნი არიან შრომის ბირჟის საშუალებით, რაც შემოწმებულია რაიონის შრომის ინსპექტორის მიერ და ყველაზე ბირჟის დოკუმენტები კანტორაში ინახება. ამ კლუბის შტატში არც ბადაევის და არც ჩხეიძეს ცოლები არ არიან და არც მათი ცოლის ძმები. მოსამსახურეებს იღებენ არა ბადაევი და ჩხეიძე, არამედ მთელი კლუბის კომისია.

მოსამსახურეები არიან მიღებულები იმ დროს როდესაც თვით ჩლაიძეც შედიოდა კლუბის კომისიაში. მაგრამ ჩლაიძის საზოგადოებიდან განდევნის შემდეგ, თურმე ყველა ბადაევის და ჩხეიძის ნათესავები გამხდარან და ბირჟის დოკუმენტებიც დაჰკარგვიათ.

ალბად მას შემდეგ, რაც ჩლაიძე გაიცოცხ[illegible] საზოგადოებიდან მას დავთრებიც არევია და პროვოკაციისთვის მოუკიდნია ხელი. მაგრამ მას ამ მეტი ხომ არაფერი დარჩენია. [illegible] ნებთ ამ გაცოცხილ ჩლაიძის [illegible] ბის კომისიამ [illegible] ბის ყრილობის საერთო დადგენილებით და რა [illegible] ზეზითაც გადაიდო არჩევნები დელეგატებისა, თვით ჩლაიძემ მშვენივრად იცის და თუ მას დაავიწყდა, ჩვენ მას მოვაგონებთ სახალხო სასამართლოში სადაც იგი აგებს პასუხს ზემომოყვანილ პროვოკაციისთვის, რის შემდეგაც იქნება მოისინოს მან თავის ჭუჭყიან ქერქში.

კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ხ. შაკიშვილი.

პრეზიდიუმის წევრები

ზ. ბაზიერაშვილი.
ო. ბრუტო,
ნ. ცერაძე.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ გაზეთის უახლოეს №-ში [illegible] გილი დაუთმოთ ჩემს შემდეგ განცხადებას:

1909—1913 წლამდე მე ვმუშაობდი საქ. სო[illegible] ფედერალისტთა პარტიაში. 1913—1922 წლამ[illegible] ვიყავი რუსეთში, რისთვისაც არ მქონდა საშუალ[illegible] ბა აქტიურათ მემუშავა პარტიაში.

დღეს კი, დარწმუნებული მასში, რომ საქა[illegible] თველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევ[illegible] ლიუციო პარტია, არის საღი დამცველი ეროვნებ[illegible] და ფედერალიზმის, სრული შეგნებით ვუერთდ[illegible] ამ პარტიას და მთელი ჩემი ენერგიით მაქვს სუ[illegible] ვილი ვემსახურო მას მშრომელთა კლასის საკეთი[illegible] დღეოთ.

ილია დიმიტრის ძე ნუცუბიძე.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენდამი რწმუნებ[illegible] გაზეთში შემდეგი განცხადება:

მე აქამდის ვიყავი უპარტიო, ხოლო ახ[illegible] მაქვს სურვილი ვიმუშაო მემარცხენე სოციალის[illegible] ფედერალისტთა პარტიაში.

ბ. პატარაია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტფილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში

სტუდენტად ჩარიცხვის შესახებ განცხადებანი მიიღება ყველა ფაკულტეტებზე 10 აგვისტოდან და დამთავრდება 5 სექტემბერს.

განცხადებანი მიიღება შემდეგ ფაკულტეტებზე: **1 პედაგოგიურზე,** (განყოფილებები: **სიბრძნის მეტყველების, სამათემატიკო—საბუნების მეტყველო და ქიმიო-ფარმაცევტიული**) **2. სამკურნალოზე, 3: აგრონომიულზე** (განყოფილებები: **სატყეო და სასოფლო-სამეურნეო**), **4. სოციალურ-ეკონომიურზე** (განყოფილებები: **სოციალური და ეკონომიური**), **5. პოლიტექნიკურზე** (განყოფილებები: **სამთო-მადნო, საალმშენებლო და მექანიკური**).

სიბრძნის მეტყველების განყოფილებაზე

ჩარიცხვის მსურველებმა უნდა მოიხსენიონ განცხადებაში—რომელი დარგი სურთ:

ისტორიული, სიტყვიერების, ფილოსოფიური, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგიური, თუ ხელოვნების.

პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე ჩარიცხულ იქმნებიან მხოლოდ ისინი ვინც უნივერსიტეტთან ჩააბარებს გამოცდას **ელემენტარულ მათემატიკაში** (ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია) და **ფიზიკაში** **სამკურნალოზე** ვინც ჩააბარებს **ფიზიკასა და ქართულ თხზულებაში**

განცხადებასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს შემდეგი საბუთები (თვით დედანი და ორი შემოწმებული პირი თვითეულ საბუთისა): 1, საშუალო განათლების მოწმობა, 2. დაბადების მოწმობა, 3. მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, 4) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი (თხელ ქაღალდზე გადაღებული) და 5. ორ მილიონ ნახევარი მანეთი. გამოსაცდელმა პირებმა წინასწარ უნდა წარმოადგინონ ნახევარი მილიონი მანეთი გამოცდების ჰონონარად. ჩასარიცხავი გამოცდები დაიწყება 15 სექტემბერს. პოლიტექნიკურ და სამკურნალო ფაკულტეტების პირველ კურსზე ჩარიცხვის მსურველები უნდა გამოცხადდენ უნივერსიტეტში ჯგუფებად განაწილებულნი 10 სექტემბერს, დილის 10 საათზე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა

3—1.